ΟΙΚΟΥΜΕΝΙΚΟΝ ΠΑΤΡΙΑΡΧΕΙΟΝ
ΙΕΡΑ ΜΗΤΡΟΠΟΛΙΣ ΕΛΒΕΤΙΑΣ

PATRIARCAT ŒCUMÉNIQUE
ARCHEVÊCHÉ DE SUISSE

ÖKUMENISCHES PATRIARCHAT
METROPOLIE DER SCHWEIZ

PATRIARCATO ECUMENICO
ARCIVESCOVADO DI SVIZZERA

შობა 2023 წელი

შვეიცარიის მიტროპოლიტ მაქსიმეს საშობაო მიმართვა

ქრისტეში საყვარელო შვილნო,
ვჭვრეტთ რა შობის ხატებას აღვიქვამთ ორ რეალობას :
ღმერთის ჭეშმარიტ განსახიერებას, რომელიც ხაზს უსვამს ხორცშესხმული სიტყვის ღვთაებრივობასა და ადამიანურობას.
ამ მოვლენის შედეგებს ჩვენთვის: სამყაროს განახლება, რადგან ბეთლემში დაბადებული ქრისტე, ჯვარზე სიკვდილითა და აღდგომით ათავისუფლებს დატუსაღებულ ადამიანს და ამარცხებს ცოდვას.
ჩვენ აღარ ვართ მარტონი ამ ცოდვის სამყაროში, „შეგვეძინა შვილი".
ესაია წერდა:„ხალხმა, ბნელში მოარულმა, იხილა ნათელი დიდი... რადგან შეგვეძინა შვილი, მოგვეცა ძე..." (ეს 9:1-5).
მივბაძოთ იმ მწყემსებს, რომლებმაც უმალვე, დაუეჭვებლად აღიარეს ღვთაებრივი ჩარევა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში და რწმენით მიიღეს ანგელოზის სიტყვა.
მივბაძოთ იმ პირველ მოწმეებს, რომლებიც ახარებენდნენ სამყაროს სასიხარულო ცნობას მა ცხოვრის მოსვლის შესახებ მსოფლიოში. ასე გავხდეთ მშვიდობის მჭედელნი და შემოქმედნი.
ვიყოთ იმედის მატარებლები, ხილული და კონკრეტული გავხადოთ ის სიხარული, რომელიც სიტყვის მოსვლას მოაქვს ყველა ადამიანში.
ძვირფასო შვილნო, გისურვებთ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, შობის დღესასწაული ყოფილიყოს ძალიან ლამაზი და ნათელი, თითოეული თქვენგანისათვის და მათთვის ვინც თქვენთვის ძვირფასია.
ღმერთმა დაგლოცოთ და დაგიფაროთ.

შობა, 2023 წელი

შვეიცარიის მიტროპოლიტი მაქსიმე

ROUTE DE LAUSANNE 282 – 1292 CHAMBÉSY, GENÈVE - SUISSE – TEL. +41 (022) 758 18 33/51 – FAX +41 (022) 758 24 16
E-MAIL : mitropolis@dioceseorthodoxe.org